| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა! 1877—1892


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 10 აპრილს.

---

გამგე კომიტეტი **„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1882 წლის 14 მაისს, 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველია შემდეგი საგნები: ა) წლიური ანგარიში 1891 წლის პირველ აპრილიდგან 1892 წლის პირველ აპრილამდე; ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ $18^{92}/_{93}$ წლისა; გ) სახლის შეძენა საზოგადოებისათვის.

(3—1)

---

ჩვეულებისამებრ, ამ წელიწადსაც, 10 მაისს,

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

გაჰმართავს

**მუშტაიდის ბაღში**

## ლატარია-ალეგრის

თავის ღონისძიებათა განსამლიერებლად.

ვინც ინებებს დაეხმაროს საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირულობით, შეუძლიანთ შემოწირულობანი გამოუგზავნონ კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას—ავჭალის ქუჩა, საგინოვის სახლი, ანუ საზოგადოების კანცელარიას, რომელიც იმყოფება ბანკის ქარვასლაში.

(5—1)

---

## მნიშვნელობა სახარებისა ისტორიაში *)

რათა უფრო ნათლად და ღრმად გავითვალისწინოთ სახარების მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიაში, ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ, როგორ სცხოვრობდა დიდებული რომი, როცა მაცხოვარმა აუწყა ქვეყანას თავისი სწავლა-მოძღვრება.

მთელ მაშინდელის ქვეყნის სწავლა-განათლება, სიმდიდრე და ღონე რომის ქალაქში იყო მოთავსებული. რომში ითვლებოდა ორი მილიონი ხალხი და თვით რომის იმპერიაში ოთხმოც მილიონზედ მეტი სული სცხოვრობდა. ნახევარი სატახტო ქალაქისა და ორი მესამედი იმპერიის მკვიდრთა მონები იყვნენ, მოკლებულნი ყოველს კაცობრიულს უფლებას. ქალაქს ამკობდა და ამშვენებდა ორიათასი სასახლე, ოთხასი ტაძარი და მრავალი მშვენიერი და ტურფა, ხელოვნურად ნაგები შენობანი. მდიდარის რომაელის სადგომი ნამდვილი სამეფო პალატები იყო, თითქო ამ ქალაქში ყველა სახლი სასახლეაო.

ნებივრობით და განცხრომით ატარებდა დროს რომის დიდებული, როდესაც განისვენებდა იმის ყურს ატკბობდა ნარნარის სიმფონიის ხმები, გაღვიძების დროს შუბლს უგრილებდა შადრევანას მაღლა მჩქეფარე წყლის ნიავი. თვალს აახელდა თუ არა, ზანტად გაუწოდებდა ხელს საკოცნელად ასობით მის ახლო ატუზულ მონებს, რომელნიც ბატონს შესცქეროდნენ თვალსა და წარბში და სცდილობდნენ მცირედი მისი სურვილი შეუსრულებელი არ დარჩენილიყო.

სიმდიდრე მაშინდელის დიდებულისა აუარებელია და ენით გამოუთქმელი. მარტო ერთი მისი სტოლი ღირს სამოცი ათასი მანეთი. იმის მარმარილოს აუზში თევზს ასუქებენ ადამიანის ხორცით. ბულბულებისა და და ფარშევანგებისათვის დამართულია კოპწია სადგურები, დაჩრდილული ცხელის ქვეყნების მცენარეებით, რომელსაც ჰნამავს შადრევანების წინწკლები.

ქალაქს გარედ დიდებულს აქვს მშვენიერი აგარა, შემკული ყოვლისფრით, რაც-კი გულსა და თვალს ატკბობს და ასიამოვნებს. როცა ქალაქში მოიწყენს, აგარას მიბძანდება და იქ ეძლევა ფუფუნებასა და განცხრომას.

ხშირად ასეთი სიუხვე და ნებივრობა სწყინება დიდებულს, იღლება, იქანცება, სული უკვნესის. მაშინ იგი დროებით გადადის ქოხში, წვება ცარიელს დედამიწაზედ, სჭამს გამხმარსა და დაობებულ პურსა, სვამს წყალს უბრალო თიხის ჭურჭლით, რომ შემდეგ უფრო მეტის სიამოვნებით დასტკბეს თავის სიმდიდრით. მთელი იტალია მოფენილია განგებ დამართულ ტბებით, ჭალებით, ბაღებით, სადაც ასუქებენ ნადირს. სიცილიას მოჰყავს და ჰგზავნის რომში საუკეთესო ხორბალს, კუნძული კოსი—ღვინოს, თაზოსი—ფრინველს და აფრიკა — ლოკოკინას. ხშირად დიდებულის ერთი ვახშამი ას ორმოც-და-ათას მანეთზედ მეტი ჯდება. მზარეული დაჯილდოებულია ოქროს გვირგვინით თავის ოსტატობისათვის. ფარშევანგის ენებისაგან მომზადებული საჭმელი, ან თუთიყუშების ტვინისაგან გაკეთებული სოუსი ათი ათასი თუმანი ჯდება.

სადილობისას მდიდრად მორთულს ოთახში, მოქეიფეთა გარს ახვევიათ ათას ფერის ტანისამოსით მორთული მონები, რომელნიც მარაოებით შუბლს უგრილებენ სმით გახურებულთ. ტოლუმბაში ახალ-ახალ სადღეგრძელოებს ამბობს და თანდათან უფრო მეტს ეუხში შედის. „სიცოცხლეს ვესწრაფოთ, სიკვდილი გვიახლოვდებაო. შევიმკოთ თავნი ყვავილებითა და ვარდებით, ვიდრე პლუტონს ვესტუმრებითო“.

ასე უსაგნო და ფუჭი იყო კერძო კაცის ცხოვრება მაშინ. უარესია საზოგადოება: აქაც უაზრობა, უგულობა, უზნეობა, გამოფიტული სული! ყველას სული დავიწყებია და მარტო იმ აზრს გაუტაცნია, რომ უკეთ გავატარო ეს მოკლე წუთისოფელი, ვიქეიფო, ვილხინო, ვსვა, ვჭამო და თვალი ვასიამოვნოო.

ამფითეატრი გაჭედილია ხალხით. ოთხმოცი ათასი მაყურებელი მოთავსებულა მის მარმარილოს მოაჯირებზედ. გამოდიან სცენაზედ გლადიატორები, ებრძვიან ლომებს, ვეფხებს და, როცა სულ დაჟლეტენ, შემდეგ ერთი-ერთმანეთს ეცემიან. ხალხი გუგუნებს სიამოვნებით. ვნება-აშლილი, ეშხზე მოსული და გაშმაგებული საზოგადოება აღტაცებით უკრავს ტაშს მებრძოლს, თუ მახვილი მარდად დაჰკრა თავისს მოწინააღმდეგეს, და ვაი იმის ბრალი, ვინც ლაჩარსავით მოკვდება და არა წესისაებრ. აი დასცა ძირს გლადიატორმა მოწინააღმდეგე, კისერი მაგრად დაუჭირა და გულგრილად ელის, როდის დასძახებენ—recipe ferrum,—რომ გამოჰლადროს მახვილით ყელი. საცოდავი დამარცხებული-კი იმის ცდაშია ამ დროს, რომ თავისის სიკვდილით ასიამოვნოს მაყურებლები.

ხშირად მაყურებლებსაც მოსდით ჟინი, გადადიან სცენაზედ და სენატორი და მხედარი ისე იბრძვიან, როგორც უბრალო გლადიატორები.

უცბად სურათი იცვლება, სცენა ივსება წყლით, გამოჩნდებიან ხომალდები და იწყება ზღვის ომი. მეომარნი იჟლიტებიან, ნავებს ცეცხლი ეკიდება, ვმინვა და კვნესა დაჭრილთა ზეცასა სწვდება, მაყურებელნი-კი აღტაცებულნი არიან და იმათს ტაშის კვრას დასასრული არა აქვს. იქვე ამფითეატრს ახლო უნამუსო დედაკაცთ გაუმართავთ ბინა და მოურიდებლად ჰყიდიან თავიანთს მშვენიერებას.

ასე ატარებდა დროს განათლებული და შეძლებული ნაწილი საზოგადოებისა დიდებულს რომში. გონიერ კაცს სწამლავდა და არჩობდა ასეთი ატმოსფერა. ზნეობა დაეცა, ოჯახი დაირღვა, თავისუფლად აზრის გამოთქმა შეუძლებელი გახდა ცეზარების დროს. გაჰქრა იდეალები, დარდსა და ნაღველს მიეცა გონიერის კაცის გული. ამისთანანი ან თავს იკლავდნენ, ან კიდევ უფრო მომეტებულს გარყვნილებას ეძლეოდნენ, რომ იქნება გულიდგან ეს მტანჯავი დარდი და ნაღველი მოგვშორდესო.

უარესი იყო მდგომარეობა მონებასა. მონებს ისე უცქეროდნენ, როგორც ნადირთ, საკუთარი სახელებიც კი არა ჰქონდათ და მეტს სახელებს ატარებდნენ. ვაი ამათი ბრალი, თუ ბატონს გააჯავრებდნენ უბრალოდ. მაშინვე დასდაღამდნენ გახურებულის რკინით, ხორცს აგლეჯდნენ რკინისავე კავებით და ჯვარს აცვამდნენ. მოხუცებულებს ტიბრის მდინარის კუნძულებზედ ჰყრიდნენ და იქ ჰხოცავდნენ შიმშილით. მონებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ: ასე გასინჯეთ, მეგობრის ყოლის ნებაც-კი არა ჰქონდათ, მაშინვე შეთქმულობას დასწამებდნენ.

უკეთესი დღე არ ადგათ დამორჩილებულს ქვეყნებს. ხარჯის მოკრეფა ნამდვილი ძარცვა-გლეჯა იყო. „ჩვენი პროვინციები კვნესიან, სწერს ციცერონი: ყველანი ღაღადებენ ჩვენის მტაცებლობისა და ძალ-მომრეობის წინააღმდეგაო. რომს აღარ შეუძლიან აიტანოს, ომი-კი არა, მათი ცრემლები და ტირილიო“. ამას ამბობს ციცერონი და თითონ-კი, ერთის წლის განმავლობაში, როცა პროკონსულად იყო კილიკიაში, ერთი მილიონი სესტერცი შეიძინა. თუ სახელოვანი ციცერონი ასე იქცეოდა, სხვა რაღას იზამდა.

დიაღ, ადამიანმა უნდა გონების თვალით წარმოიდგინოს, რა უსამართლობა ტრიალებდა რომის იმპერიაში, საცა ერთის მხრით იყო ფუფუნება დიდებულთა და მაინც დიდი სულის სიღატაკე მათ შორის და მეორეს მხრით—ტანჯვა და ვაება მილიონ მონისა, ამ კაცის გაუმაძღარის თვალის უპატრონო მსხვერპლთა, რომ ადვილად მიხვდეს, რა ბედნიერება და სიხარული მიანიჭა სახარების ქადაგებამ კაცობრიობას.

როცა გალილეას ტბის ნაპირებიდგან მთელს ქვეყანას მოეფინა გულის გამკურნავი სიტყვები: „გიყვარდეთ მოყვასი თქვენი, ვითარცა თავი თვისიო“, ყველას სიხარულით აევსო გვემული გული. ბრწყინვალე იმედი დაეხატა ყველას თვალწინ და ნუგეში სცა. ქვეყნის დამთრგუნავ ბოროტების წამალი გამოჩნდა. ეს წამალი იყო სიყვარული.

დიაღ, უნდა გიყვარდეს, რომ ღმერთსაც ასიამოვნო და კაცსაც; უნდა გიყვარდეს ყველა, როგორც შენი თავი, ნათესავიც და მტერიც. მხოლოდ სიყვარულს შეუძლიან გააკეთილშობილოს და ფასი მისცეს წუთიერს სიცოცხლეს. უნდა ზრუნავდე სხვისათვისაც ისე, როგორც შენთვის, და მხოლოდ მაშინ გაგიადვილდება ატანა ამა ქვეყნის სიამოვნებისაცა და მწუხარებისაცა.

რომელ საფილოსოფიო მოძღვრებას შეუძლიან ასე მარტივად, ნათლად და ღრმად განსაზღვროს ჩვენის წუთიერ ცხოვრების საგანი და თვალწინ დაგვიყენოს ბედის ვარსკვლავი?

«ნეტარ იყავნ გლახაკნი სულითა... ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა... ნეტარ იყვნენ მშვიდნი... ნეტარ იყვნენ, რომელსა ჰშიოდეს და ჰსწყუროდეს სიმართლისათვის... ნეტარ იყვნენ მოწყალენი... ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა... ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი... ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის...»

ეს ხომ ზეციური სიტყვებია, უცნობი მაშინდელის კაცისათვის. ასე მოლაპარაკე უეჭველია დაიმონებდა ტანჯულის კაცის გულს. ვინც-კი ყური მოჰკრა ზეციურს ქადაგებას, უშიშრად და დაურიდებლად იტანდა დევნას, წამებასა და სიკვდილს.

ჩვენ მივეჩვიეთ სახარებას, ყოველ დღე ვიმეორებთ მაცხოვრის ლოცვას და არც-კი ვუკვირდებით, რა დიდებული აზრია აი ამ უბრალო სიტყვებში: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“.

დიდი უთანასწორობა იყო ძველად. ახალი მოძღვრება, რომ ჩვენ ყველანი ძმები ვართ, შვილნი ერთის, ზეციერის მამისა, სრულიად ეწინააღმდეგება მაშინდელს აზრს საზოგადო ურთიერთობისას. მაცხოვრის მოძღვრებამ სიყვარულის შესახებ ფერი და აზრი უცვალა ძველს ცხოვრებას და აი სწორედ ის არის უპირველესი და უდიდესი ღვაწლი სახარებისა.

ვინც გულ-მოდგინებით წაიკითხავს სახარებას და ისტორიულად შეისწავლის, უეჭველია, მიხვდება, რა ნაირად ეწინააღმდეგება სახარების მოძღვრება ძველთა წარმართთა სიბრძნეს.

კაცი უნდა მისდევდეს ზნეობრივს სიწმინდეს, კეთილს, ჭეშმარიტებას, უნდა იყოს თავ-მდაბალი, მართალი. აი რა გამოსჭვივის სახარების ყოველ სიტყვიდგან.

ძველმა წარმართმა ცხოვრებამ შეიმუშავა ბრწყინვალე გარეგანი ფორმები, სული კი დააუძლურა და შეაჩერა მდორე წყალივით, წინ მსვლელობისათვის საჭირო იყო კაცის სულს ჰქონოდა ზნეობრივი ძალა, სითამამე და გამბედაობა. «უკეთუ გაქვნდეთ სარწმუნოება და არა შეორგულდეთ და ჰრქვათ მთასა ამას: აღიფხვარ ამიერ და შთავარდი ზღვასა, იყოს ეგრეთ». დიაღ, ამას შემდეგ ყველაფერი დედამიწაზედ, თვით ბუნებაც უნდა დაემორჩილოს სულის ძალას და იმის ყურ-მოჭრილი ყმა გახდეს. ძველი ცხოვრება ჰხუთავდა ადამიანის სულს გარეგანის ფორმებით, ჩვეულებითა და წესებით. მაცხოვარმა დაამხო ფარისევლების სიბრძნე და გააწბილა მათი მოძღვრება «უფალ არს ძე კაცის» შაბათისაცა». მაცხოვრის რელიგია თავისს სიმარტივით ყველასათვის მისახვედრია და გასაგები. ღვთის მსახურება და ზნეობა ამ რელიგიით კაცის სინიდისსა და გულზედ არის დამოკიდებული.

წარმართთა სარწმუნოება შედეგი გარეგანის ბუნების ზედმოქმედებისა. ეგვიპტელებს სწამდათ იზიდა, ოზირისი და ტიფონი. პირველთ სიკეთე მოჰქონდათ და მეორეს ბოროტება. ასეთივე ხასიათი ჰქონდათ ირანის ღმერთებს, ორმუზდს და არიმანს. ადგილობრივ გარემოებათა გარეშე ძველ ღმერთებს აზრი არა აქვთ. როცა ყველა ღმერთებმა რომში მოიკრიბეს თავი, ძალა და სიცხოველე დაჰკარგეს. აბა რა აზრი ექნებოდა იზიდას რომში, საცა არც ნილოსის მდინარე იყო და არც დრო - გამოშვებით მოვარდნა წყალისა?

---

*) იხ. პროფესორ მ. ნ. პეტროვის წიგნი „Очерки изъ Всеобщей исторіи“.

საზოგადოდ ყოველი ძველი სარწმუნოება დღე მოკლე გამოდგა და თავი მოიხარა იმ სარწმუნოების წინაშე, რომელიც საყოველთაო იყო, წინაშე ქრისტიანობისა. ქრისტიანობის გაჩენაში დროს, ერს და ადგილს მონაწილეობა არ მიუღია. ამისათვის როცა მეოთხე და მეხუთე საუკუნეში ხალხთ გადასახლება იყო და ბევრმა მათ შორის ბინა იცვალა, გადასახლებულთ თავიანთი რელიგია ძველს ბინაზე დასტოვეს და ახალს ადგილებში თავისუფალი გული მიიტანეს და, ადვილად ირწმუნეს ქრისტეს სარწმუნოება. საქსებს-კი, რომელთაც ბინა არ უცვლიათ, კარლოს დიდი ოც-და-ათი წელიწადი ეომა და ძლივს მიაღებინა სახარება.

სახარებამ დაიმორჩილა ბუნება და ჩამოართვა უპირატესობა ყველაფერში. „ღმერთი სულია და თაყვანისცემა მისი საჭიროა სულითა და ჭეშმარიტებითა“. ასეთის მოძღვრებით რელიგიური რწმენანი ძველის კაცისა ძირეულად შესცვალა ახალმა ქადაგებამ. განთავისუფლებულს ბუნების ბრჭყალებისაგან სულს ფართო გზა გაეხსნა და აბა რაღა დაუშლიდა წინ-მსვლელობას.

ასეთივე ცვლილება მოახდინა სახარებამ კაცთა საზოგადო ურთიერთობაში.

სახელმწიფო წეს-წყობილება ძველად აშენებული იყო გვარევნობაზედ, ოჯახური ხასიათი ჰქონდა. მაშასადამე, ბატონობდა ისევ ბუნება. საკმარისია გადავავლოთ ჩინეთის ისტორიას თვალი, რომ დავრწმუნდეთ, რაოდენად მართალია ეს აზრი. ოჯახს, გვაროვნობას ღრმადა აქვს გადგმული ძირი. ბოღდიხანი მამაა სუყველასი ჩინეთში, მანდარინები—მისი უფროსი შვილებია, ამათი ხელ-ქვეითნი—უმცროსი შვილები ბოღდიხანისა და სხ. ერთის სიტყვით, ისე გამოდის, რომ ორას ორმოც-და-ათი მილიონი ჩინელი თითქოს ერთი ოჯახიაო, მართალია დიდი, მაგრამ მაინც ერთი ოჯახი.

შემდეგ გვაროვნობის ძალა სუსტდება და თავს იჩენს ძალა სახელმწიფოსი. რომში სახელმწიფო ძალამ გაიმარჯვა და დაჩაგრა სრულიად გვაროვნობაზედ აშენებული წეს-წყობილება: მაინც და მაინც ამ ორსავე გვარს წეს-წყობილებაში ბატონობს ბუნება, ხორცი, სისხლი და ნათესაობა. სახარებამ უარ-ჰყო ასეთი დამოკიდებულება და აღამაღლა სულიერი დამოკიდებულება, რომელსაც უნდა შევწიროთ ჩვენი უძვირფასესი მისწრაფება, გამოწვეული ხორცის დატკბობის გრძნობითა. «რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროსს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“. იგი ვერ შემომიდგება მე და არ იქნება მოწაფედ ჩემდა, ვინც ჩემთვის არ შეიძულებს მამასა თვისსა და დედასა, ცოლსა და შვილთა, და ვინც არ დასახამს მტრად თვისად შინაურსა, ერთ სისხლსა და საყვარელსა გულისა თვისისასა. აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ვისაცა ჰსურს მიაღწიოს უმაღლესს ბედნიერებას, ვინც ეტანება კეთილსა და ჭეშმარიტებას, ყოველივე უნდა უარ-ჰყოს. და რომელმან წარწყმინდოს, სული თვისი ჩემთვის, იგი ცხონდეს. ეს აზრი უფრო ცხადად არის გამოხატული სახარების მეორე ადგილას. როდესაც ქრისტეს მოახსენეს, თქვენი დედა და ძმა დაგეძებენო, მაცხოვარმა ბრძანა: „ვინ არს დედა ჩემი, ანუ ძმანი ჩემნი? და მიმოიხილა გარემოს მის მოწაფეთა თვისთა მსხდომარეთად და ჰრქვა: აჰა, დედა ჩემი და ძმანი ჩემნი. რამეთუ რომელმან ჰყოს ნებად ღმრთისა, ესე არს ძმა ჩემი, და დაი ჩემი, და დედა ჩემი“.

ნათესაური გრძნობა უნდა დაემხოს ამას შემდეგ და წინ წამოდგეს ზნეობრივი ღირსება ადამიანისა. ძველად, ასე გასინჯეთ, განათლებულ ბერძნებსაც-კი სძულდათ უცხოელები, მარტო იმისთვის, რომ უცხოელები არიანო. სახარებამ შეაყვარა ერთმანეთი სხვა-და-სხვა ტომს. «ამიერიდგან არა არს არცა ელლინი და ურია, არცა მონება, აზნაურობა, არცა მამაკაცი და დედაკაცი, არამედ ყოველნი ქრისტეს მიერ ერთნი არიან“. ასე სწერდა სახელოვანი მოციქული წარმართთა მიმართ და ამ სიტყვებით ცხადად ამხილებდა, რომ დადგა ახალი ხანა, მოვიდა ახალი დრო ისტორიისა.

ამ გვარია ის ზნეობრივი ცვლილება, რომელიც მოახდინა ქრისტიანულმა მოძღვრებამ ცხოვრების კერძოობაში.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ სახარებამ მეტად აღამაღლა პიროვნება კაცისა და ფართო გზა მისცა იმის სულიერს ძალას. ძველად თითოეულს ადამიანს იმდენი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ის იყო მოქალაქე, წევრი სახელმწიფოსი. სახარება-კი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს საზოგადო ცხოვრების იდეალებს და იმას, როგორ უნდა მოეწყოს კაცი, რა გვარი მთავრობა გაიჩინოს და სხ. სახარება ამისათვის არა ზრუნავს. კაცი ოღონდ სულით განსპეტაკებული იყოს, გახდეს სრული და როგორ შეიძლება, რომ სრულმა ადამიანმა ცუდი წეს-წყობილება დაარსოსო. „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“. მაშასადამე, კაცი იმდენს უნდა სცდილობდეს, იღვწოდეს სანამ თვით ღმერთს არ დაედრება სისრულით და აბა ეს როდის იქნება? ცხადია, რომ ქრისტეს სარწმუნოება ხელს უწყობს კაცობრიობის წინ მსვლელობას, პროგრესს.

ესევე არ ითქმის სხვა სარწმუნოების შესახებ. მჰამადმა, კონფუციმ და ზოროასტრმა სამღთო წიგნებში დაწვრილებით აღწერეს, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო, რა წესი და რიგი უნდა სუფევდეს. ერთის სიტყვით, თავიანთ მიმდევართ თვალწინ დაუყენეს წუთიერი იდეალი. საზოგადო წეს-წყობილება, რომელიც ისურვეს ზემოდ დასახელებულ რელიგიის დამფუძნებელთ, ცოტად თუ ბევრად, განხორციელდა, მაგრამ ეხლა რას ვხედავთ ჩინეთში, სპარსეთში და ოსმალეთში? ცხოველმყოფელი სული მოაკლდათ ამ სახელმწიფოებს და ერის წინ მსვლელობა შესწყდა.

ა. ფრონელი

## მუსიო დ'ეზარტი საქართველოში

(აზრი აღებულია)

აღდგომის შაბათი იყო, სწორედ ის დრო, როდესაც მთელი ტფილისი გოჭების ჰყვირილადა ბატკნების ბღავილად არის გადაქცეული. მოუსვენარად მოფუსფუსე ხალხის ცქერამ გული გადამიღალა, თვალის მოსასვენებლად შემთხვევით ერთს ჩვენს საუკეთესო სასტუმროთაგანში შევეხეტე და გრძლად გაჭიანურებულ-გახიახებულს საჭმელების ნუსხას წამოვავლე ხელი. მთელი სასტუმრო ევროპულად იყო მოწყობილი და ქართულობის ნიშან-წყალი სულ არსად ეჩინა. წინ ამეყუდა კითხვით ნიშნად გადაქცეული მოსამსახურე და თავი ჩემსკენ გადმოხარა, თითქოს სირინოზის გალობით არის გატაცებული და მისის სტვენით ყურთა სმენას იტკბობსო. ოხვრით ჩავავლე თვალი უცნობ-უცნაურის ასოებით ნაწერს ნუსხას და...

— გურული ლობიო-მეთქი, დავიძახე: ბროწეულით შეზავებული იყოს.

მოსამსახურე ციბრუტივით გატრიალდა და თვალის ერთს დახამხამებაზედ ცხვირ წინ საჭმლით სავსე თეფში დამიდგა.

ის იყო ჭამას უნდა შევდგომოდი, რომ თვალი მოვკარ იქით მხარეს, ჩემს პირდაპირ მჯდომს მეზობელს, დაბალს, მაგრამ ჩარგვალებულს, ბატსავით გათეთრებულს და ოქროს სათვალეებით აღჭურვილს მოხუცს. მოხუცი ციცასავით შემომცქეროდა და ისე გულ-დადებით მსინჯავდა და მათვალიერებდა, თითქოს უცნაურს, ახირებულს, არა-ჩვეულებრივს რაღასაც მხედავდესო. თვალი ავარიდე, მაგრამ იმისმა მოუშორებელმა თვალებმა კვლავ მისკენ მიმახედა. ეს-კი მეტისმეტია! ასეთი უზრდელობაც გაგონილა! საჭმლისათვის თავი დაენებებინა და ისე უსირცხვილოდ, თავ-აგდებით შემომცქეროდა, თითქოს ჩემი სურათი უნდა გადაიღოსო და ან მითვლის, ვნახოთ, რამდენს ლუკმას ჩაიდებს ეს კაცი პირშიო.

მეც, ჩემის მხრივ, ასეთის უზოდიშობით მოთმინებიდგან გამოსულმა, წყრომით შევხედე ჩემს დაურიდებელს გამსინჯველს დ ლობიოს დიდს ლუკმას ბრაზით ორი დიდი ჭიქა ღვინოც ზედ მივადევნე. ალბად მიხვდა ჩემს რისხვას, რადგანაც მაშინვე წამოიწია ხელების წმენდით, თავის დაკვრით მომიახლოვდა და დამტვრეულის რუსულით გამომეხმაურა:

— ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ: მუსიო დ'ეზარტი გახლავართ, ფრანგი, პროვანსელი.

პასუხად მეც თავი დავუქნიე, თუმცა სახე ამ ბატონის მოურიდებელის საქციელის გამო ისევ ისეთი მწყრალი და კუშტი მქონდა. რასაკვირველია, მისმა ვინაობამ ცოტა შეამსუბუქ-შეარბილა მისი უზოდიშობა, მაგრამ განა ფრანგებს-კი მიეტევებათ ურცხვად სხვისი ჩხრეკა-თვალიერება! ამასობაში მუსიო დ'ეზარტი ჩემს თავს დანებებას არ აპირებდა, თამამად მოიდგა სკამი და ჩემს სიახლოვეს ჩამოჯდა.

— თქვენ მგონი გაგაოცათ იმ გარემოებამ, რომ ისეთის ცნობით-მოყვარეობით შემოგცქეროდით და გსინჯავდით, გათვალიერებდით. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვრაცხ, მიზეზი მოგახსენოთ ჩემის ასეთის უზოდიშობისა. რამდენადაც ლაპარაკით შეგატყეთ, ქართველი უნდა ბრძანდებოდეთ.

— არცა სცდებით.

— ნამდვილი, ჭეშმარიტი ქართველი ხართ?

— რასაკვირველია. განა ქართველი ისეთი იშვიათი სანახავია, რომ მისის ნახვით გაოცდეს კიდეც ვინმე?

— მაშ მართლა ქართველი ხართ! ამის მეტად ჯერ ნამდვილი ქართველი არ მინახავს! ძლივს არ მოვხელე ის, რასაც ორი დღე ამაოდ ვეძებდი ამ ქალაქში.

— რასა ბრძანებთ? ორი დღეა ტფილისში ხართ და ქართველი ჯერ არ გინახავთ? არა, არა, ეგ შეუძლებელია!

— საკვირველია, მაგრამ მართალიკი. მე ორიენტალისტი გახლავართ და აღმოსავლეთის ენები კარგადა მაქვს შესწავლილი. სხვათა შორის, ქართულის კითხვაც ვიცი და ბროსეს ნაწერები გადაკითხული მაქვს. გაგონილი მქონდა, რომ საქართველოში ქართველები არიან დასახლებულნი, თავისს ენაზედ ჰლაპარაკობენ და საკმაოდ მდიდარი ლიტერატურაცა აქვთო. ამის გამო გადავწყვიტე, რომ მაინც მოგზაურობას ვაპირებ-და, ერთი საქართველოსაკენაც შევივლი და ვნახავ იქაურობას, დავრწმუნდები სხვათა ნათქვამ-ნალაპარაკევის სიმართლეს-მეთქი. გამოვემგზავრე შავის ზღვით აქეთკენ. გადმოვხტი თუ არა გემიდგან, დიდის ცნობის-მოყვარეობით დავუწყე რკინის გზაზედ ხალხს სინჯვა, სმენად ვიყავ გადაქცეული და ყურს ვუგდებდი იმათს ლაპარაკს, მაგრამ ამაოდ. ტფილისამდე ერთი ქართული სიტყვა არ გამიგონია.

— მოითმინეთ, რომელ კლასით წამოხვედით?

— მეორე კლასით. პირველს კლასში ჯდომა ჩვეულებად არა მაქვს. ბათუმიდგან რამდენსამე სადგურს აქეთ მატარებელში ერთი ყურთმაჯებიანი მოხუცი შემოვიდა და თან ერთი თავ-დახურული მანდილოსანი და ერთიც ევროპულად ჩაცმული ახალგაზდა ქალი შემოჰყვნენ. ეს მშვენიერი ქალი იმდენად არაფრითა ჰგავდა სლავიანთა ხალხის სახისას და ისეთი ლამაზი იყო, რომ ვიფიქრე, სწორედ თამარ-დედოფლის შთამომავლობისა უნდა იყოს-მეთქი. ორიოდე ქართული სიტყვა ვიცოდი. ვისარგებლე ამ ცოდნით და ქართულად გამოვეხმაურე. ამ გამოხმაურებამ მხოლოდ ის მაჩვენა, რომ მშვენიერს შავს, გიშრის ფერს თვალებსა და ვარდის ფურცლის მგზავს ბაგეთ ზიზღით აჰიმა ისევე უხდებოდა, როგორც ღიმილი. სხვა მგზავრებმაც გაოცებით შემომხედეს და ისე ჩაიცინეს, თითქოს უზრდელობა რამ ჩამედინოს. ამისდა მიუხედავად, შემდეგ რკინის გზის ერთს კონდუქტორს მივმართე ჩემის ქართულით, მაგრამ იმან თუმცა ჯერ გაიკვირვა, შემდეგ-კი თვალები გადამიტრიალა, ვითომ-და, რა დროს უადგილოდ ხუმრობააო. ამას შემდეგ ენა დამება და ქართულად კრინტის დაძვრაც ველარ გავბედე. საწყალი ბროსე-მეთქი, ვიფიქრე: მაშ ეს არის იმისი ლიტერატურით მდიდარი და განვითარებული ქართული ენა, რომელიც კონდუქტორის სასაცილოდაცკი გამხდარა?!

— არა, ჯერ აგრე არ დავცემულვართ-მეთქი, ვუთხარ თავ-გამოდებით: მაგ გარემოების მიზეზი ის არის, რომ, ჯერ ერთი, რკინის გზის მმართველობა ჩვენს ხელში არ არის და, მეორეც, მეორე კლასით ჩვენში უფრო მოხელე და სამსახურის ხალხი დადის.

— უნდა გერწმუნოთ, რადგან აქაურის ზნე-ჩვეულების არა ვიცი-რა. ეს კიდევ არაფერი. ტფილისი! ტფილისი! ეს საქართველოს დედა-ქალაქი! გადმოვედი თუ არა რკინის გზის სადგურზედ, ბარგის მიმტან-მომტანი უცხო ენით გამომეხმაურა; მთელს ქალაქში განცხადებები უცხო ენით იყო დაწერილი; სასტუმროს მეკარე სხვა ენაზედ მომესალმა; მოსამსახურეები სხვა ენაზედ მელაპარაკებოდნენ. ერთს სტუმარსაც-კი არ წამოსცდენია ქართული. ქუჩაზედ დავინახე მთელი ჯლგა ხალხისა, მივუახლოვდი და ყური დავუგდე: ათას რჯულისა და ჯილაგის ენაზედ ლაპარაკობდნენ, ამბობდნენ თათრულს, სომხურს, რუსულს, ფრანგულს, გერმანულს, ერთის სიტყვით, ყოველს ენაზედ ისმოდა სიტყვები, მაგრამ ქართულად გინება და წყევლაც-კი არავის წამოსცდენია. შევედი ყავახანაში და აქაც სხვა ენა!... რამდენსამე მაღაზიაში შევეკვეტე, მაგრამ აქაც პატრონები, ნოქრები, დახლიდრები სულ სხვა ენით გამომეხმაურნენ. ზოგიერთს მაღაზიაში თუმცა ქალიც ბევრი იყო და ვაჭრობდნენ, მაგრამ ქართულად სიტყვაც არავის დაუძრავს. ვნახე სხვათა მაღაზია, საპატიმრო, სასამართლო, წიგნის მაღაზია, საავადმყოფო, მაგრამ...

— მაშ ჩვენი თეატრი არ გინახავთ?

— როგორ არა: მითხრეს, ამა-და-ამ ალაგას სადგურობს ქართველთა მელპომენაო. მივედი, შენობა გავსინჯე, შიგნით შევიხედე, მაგრამ არ შემიშვეს, რეპეტიცია აქვთ არტისტებსაო. მე მაინც ჩემი არ დავიშალე. ეხლა მაინც გავიგონებ ქართულსა-მეთქი, ვიფიქრე. შევედი და მართლაც დავინახე სცენაზედ არტისტები, ქალი და კაცი, რომელნიც რეპეტიციის დაწყებამდე ტკბილს მასლაათში იყვნენ. მივაპყარი სასმენელნი ჩემნი მაგრამ, ესენიც, ეს ვითომ-და ქართველი არტისტები, სხვა ენაზედ ლაპარაკობდნენ! გაგულისებული გამოვედი თეატრიდგან და ჯავრით არ ვიცოდი, რა მექნა. მერე სხვაფრივ ვცადე ბედი: ვითომ-და სახლის დასაჭერად რამდენსამე სახლის პატრონს დაუპატიჟებლად ვესტუმრე. კარებზედ ქართული გვარი ეწერა, მაგრამ შიგნით-კი სახლის უფროსმა ჩემ დანახვისათანავე სხვა ენაზედ დაწერილი გაზეთი გვერდზედ გადასდო, დიასახლისი გარმიანულად მომესალმა, გასათხოვარი ქალიშვილები გარმიანულს წიგნს ჩასჩერებოდნენ და გარმიანულად ჟღურტულებდნენ და, ასე წარმოიდგინეთ, პაწია ბიჭებიც-კი, ათის, თორმეტის წლისანი, გარმიანულად გაჰკიოდნენ რაღაც უცნაურს გალობას... ერთს ახალგაზდა მასწავლებელს იმ დროს წავაწყდი ზედ, როდესაც გარმიანულად რაღასაცა სთხზავდა.

— რა ვუყოთ-მეთქი, შევძახე გამწარებით: ბედი არა გქონიათ და იმიტომ მომხდარა აგრე. საქართველოში უმეტესობა ქართველობაა. რატომ ბაღებში არსად წახვედით, უეჭველად გაიგონებდით მოქეიფეების „მრავალ ჟამიერსა“ და

„ყანწით ვსვამ ღვინო-ო-ო-ოს,
თქვენს სადღეგრძელო-ო-ოს
და გაუმარჯო-ო-ოს
მთე-ე-ელს საქართველოს!..“

თუ გსურთ, მე მიგატარ-მოგატარებთ და ადვილად დაგიმტკიცებთ, რომ ტფილისი საქართველოშია და არა ჩინეთში, როგორც თქვენა გგონებიათ. ესეც არ იყოს, აბა სოფლებში წა-

დით, კახეთში, ქართლში, გურიაში, იმერეთში... ყველგან ქართულია, ქართული და ქართული. მართალია, ამ ქართულს ცოტა ჩიქორთულ-გარმიანობის ელ-ფერი დასცემს, მაგრამ რა ვუყოთ, მაინც ქართულია. არა სტყუით, ტფილელი და საზოგადოდ ქალაქში მყოფი ქართველები უფრო გარმიანულს ეტანებიან, გარმიანულს გაზეთებს იკვეთენ, გარმიანულს წიგნებს კითხულობენ, გარმიანულს თეატრში დადიან, გარმიანულად ჰზრდიან შვილებს, რადგან ამ უბედურებს ჰგონიათ, რომ მოდაა, განათლებაა და ასე უნდაო, მაგრამ მაინც-კი ქართველები არიან. აბა ნასვამი ნახეთ, რა ქართულს სიმღერას მოჰყვებიან! მართალია ისიც, რომ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზდობა გარმიანულადა სწერს და სთხზავს, მაგრამ ეგეც იმიტომ, რომ თავისი სამშობლო ასახელონ და თავ-მოსაწონებელი გახადონ. აბა გამომყევით და გაჩვენებთ...

— გმადლობთო, გამაწყვეტინა სიტყვა მუსიო დ'ეზარტმა და წამოდგა: კარგს ამბობთ, მაგრამ კვლავ ქართულისა და ქართველების ძებნა-კი არ შემიძლიან: ჯავრი დამარჩობს. მართალია, გულ-მოსული და ცხარე, პილპილა კაცი არა ვარ, მაგრამ მაიმუნების ნახვა-კი ჰიჰინაზედ გამხეთქავს... მშვიდობით, კერძი გამიცივდა... ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, კაი ხალხი ამ თქვენს ქვეყანაში ყოფილა!..

მუსიო დ'ეზარტი ისევ თავისს ალაგსვე გადაჯდა. მე-კი ნახევრად დარჩენილს ლობიოს თეფშს მივუბრუნდი, ლუკმა ჩავიდე პირში, მაგრამ... მაგრამ ვერ გადავყლაპე, სასულეში გამეხირა.

ორ-ანი

---

## მილენა

(მოთხრობა ზახერ-მაზოხისა)

ეს ამბავი 18... წელს მოხდა.

აღდგომა უნდა გათენებულიყო. ორჯელ ზედი-ზედ მოისმა თოფის ხმა. მესაფლავეს შემოესმა და გამოეღვიძა. წამოიწია ლოგინში, ჩაახველა და თავისს ქალს გაეხმაურა.

— ამოვდივარ, მოვდივარო, — და მილენაც მაშინვე ოთახში შემოვიდა, ფეხ-შიშველა, პერანგის ამარა, ზემოდგან ტყავ-წამოსხმული, მხარ-ბეჭიანი ახალგაზდა ქალი.

— გესმის, მილენა, უთხრა მოხუცმა მესაფლავემ: სოფელში რაღაც ჩხუბია

— მაშ მართალი. გამოდგა ის ამბავი?

— რა ამბავი, შვილო?

— ის ამბავი, რომ ამაღამ აჯანყება უნდა მომხდარიყო.

— ღმერთო, ეს რა ცოდვის ამბავია! სთქვა ავადმყოფმა მესაფლავემ და ისევ ლოგინზედ დაეშვა.

მილენამ ხელად გადიცვა კაბა, ფეხები მამის წაღებში ჩადგა, წამოისხა ტყავი, დაიხურა თეთრი თავ-შალი და გასწია სოფელში ამბის შესატყობად.

მესაფლავეს სახლი გორაკაზედ იდგა, სასაფლაოს გალავნის კარებთან.

გამოვიდა მილენა და სასაფლაოს გადაჰხედა: აქეთ-იქიდგან მოსჩანდა საფლავის მატურები, ზედ ამართული შავი ჯვრები და ხეები. ნაადრევი აღდგომა იყო და ჯერ ყველაფერს კიდევ თოვლი ჰქონდა გადაფარებული, ჰყინავდა. სიცივე მაგრად იბინებოდა. მილენა ჯერ ნელის ნაბიჯით მოდიოდა, შემდეგ აიღო თოვლის გუნდა, სახეზედ გადისვა და უფრო მარდად გასწია.

სოფელში საშინელი თავ-პირის მტვრევა და ქლეტა იყო და სასაფლაოზედ-კი მკვდარი სიჩუმე ჰსუფევდა. შუა სასაფლაოზედ ჯვარცმა იყო ამართული. მთვარე ანათებდა და ჯვარზედ ჩამოკიდებული ყინულები ისე მოსჩანდა, თითქოს ის ლურსმნები ჰბრწყინავენ, რომლითაც მაცხოვარი ჯვარს აცვესო.

მილენას ყური მახვილად ეჭირა, მაგრამ არსაიდგან ხმაურობა არა მოდიოდა-რა. ქალმა ზეცას მიაპყრო თვალები და დაინახა ვარსკვლავებით მოჭედილი გუმბათი ცისა. ვარსკვლავებს კაშკაში გაჰქონდა, ტყის მხრივაც ახალი მთვარე იდგა და ნამგლის პირსავით პრიალებდა.

მილენას გზაზედ რაღაც შეეფეთა, შედგა და ქალს თვალები შეანათა.

მგელიო! დაიძახა მილენამ.

ქალმა საჩქაროდ და გაბედულად დასტაცა ხელი ბარს, რომელიც იქვე ეგდო და პირდაპირ ნადირისაკენ გასწია. მაგრამ როცა მილენა მიუახლოვდა, ნადირმა იკუპა, გადახტა სასაფლაოს გალავანზედ და მიიმალა.

ორჯელ კიდევ გავარდა თოფი.

მილენა კიდევ ჩამოსცდა გორაკას და სოფლის გზას დაადგა. მივიდა თუ არა პირველ სახლთან სოფელში, გლეხის დედაკაცი შემოეყარა, რომელსაც დაჭრილი ქმარი მიჰყავდა. კაცს ჰრილობიდგან სისხლი თქრიალით სდიოდა და თოვლს წითლადა ჰღებავდა.

— რა ამბავია? შეეკითხა მილენა.

— ჩვენებური და მიხეილიანი სოფლელები აჯანყებულებს ებრძვიან, მიუგო გლეხმა: საქმე კარგად მიდის, ჩვენები სჯობნიან. ისე სჭრიან მტრებს თავებს, თითქოს ყანასა მკიდნენო.

მილენამ უშველა ქმრის სახლში მიყვანა და ჭრილობის შეხვევა და შემდეგ შინ გამობრუნდა, რომ მოხუცის მამისათვის მოეხედნა და დაემშვიდებინა.

რამდენსამე ხანს შემდეგ სასაფლაოს ალაყაფის კარები ვიღამაც დააკაკუნა.

— გაიხედე ერთი, რა ამბავიაო, უთხრა მოხუცმა მესაფლავემ.

მილენამ ფანჯრიდგან გაიხედა, დაინახა რამდენიმე მარხილი, ხალხი და მამასახლისი.

— კარი გააღე, შე ბერო თხუნელავ! დაიძახა ვიღამაც მაღალის ხმით: კარგი სტუმრები გიშოვნეთ.

— ავადა ვარ, ხმა გასცა შინიდგან მესაფლავემ: აღდგომა არ შემიძლიან?

— რაც უნდა იყოს, უნდა გაისარჯო.

— თქვენ თითონ დამარხეთ.

— ჩვენ არა გვცალიან.

— მე დავმარხავო, სთქვა მილენამ.

ქალმა ფანჯარა მიხურა და კარში გამოვიდა. მიიტანეს სასაფლაოზედ დახოცილი აჯანყებულები ოთხის მარხილით და უკან ხალხი მიჰყვა, ნამგლებითა და ცელებით შეიარაღებული.

მამასახლისმა თავი დაუკრა და მიესალმა მილენას.

— ძირს დააწყეთ მკვდრები, სთქვა ქალმა: ამოვა თუ არა მზე, მაგათ დამარხვის საქმეს მაშინვე შევუდგები.

— ეგ რა ქრისტიანობააო, სთქვა მამასახლისმა: თუ ეხლავე არ მივაბარეთ მიწას, ამაღამ ნადირი დასჭამს. ეხლავე უნდა დაიმარხნენ. შენ ნუ გეშინიან, გასამრჯელოს მიიღებ. ფულსაც მოგცემთ, არაყსაც, და ტყავსაც გაჩუქებთ.

— კარგი, აგრე იყოს, მე თანახმა ვარო, სთქვა მილენამ, შემდეგ დოინჯი შემოიყარა და ცქერა დაუწყო, გლეხები როგორ მარხილებიდგან იღებდნენ და ერთად აწყობდნენ მიწაზედ დახოცილებსა.

ქალს წარბიც არ შეუხრია, ასე გეგონებოდათ სრულიად არ იცის, რა არის ტანჯვა და შებრალებაო. მოხდენილს ტუჩებზედ თითქოს ღიმილიც-კი უქროდა.

მამასახლისმა ფული გადაუთვალა და ერთი ბოთლი არაყი შესთავაზა. შემდეგ გამოაბრუნეს მარხილები და ხალხიც ჩუმად გამოჰყვა უკან.

— ტყავს რომ დამპირდითო? მიაძახა მილენამ.

— ხვალ, ხვალ მოგცემთ, საქმეს რომ მორჩები. მამასახლისი წამოვიდა სასაფლაოდგან და მილენამაც ბარი აიღო ხელში.

მოსვა ცოტა არაყი და დაუწყო საფლავს თხრა. თანაც დაჰმღერა თავისი სევდიანი ლექსი ისეთის სამწუხარო კილოთი, რომ გეგონებოდათ, საფლავს ვინმე ჰირისუფალი დასტირის სასაფლაოზედაო.

სიმღერით ხან დასამარხავებს სალამს აძლევდა და გზას ულოცავდა და ხან თავისს ბარს ამხნევებდა, აბა გაისარჯე, მალე მოუმზადე სამარე ამ შორს გზას მიმავალთაო.

კიდევ მოსვა არაყი და კვლავ დაიწყო თავისი გულ-საკლავი სიმღერა. ბარის ხმა და სიმღერა ერთმანეთში ირეოდა. შორიდგან მგლის ყმუილი მოისმოდა, აი სამარის თხრასაც მორჩა. მილენა პატარა ხანს შეჩერდა და მკვდრებს დააცქერდა.

— იქ პირველად უთუოდ შენ ასტეხდი აჯანყებასაო, უთხრა ქალმა ერთის მოხუცებულის გვამს: და მოდი ეხლაც ბარემ შენ გასწი საფლავში პირველად. მილენამ ძუძუ-მწოვარა ყმაწვილსავით მარდად აიღო ხელში მკვდარი, საფლავში ჩაიტანა, პირჯვარი გადასწერა და ისევ ზემოდ ამოვიდა. დანარჩენს მკვდრებს უფრო ნაკლების თავაზით მოექცა: თითო-თითოს მიიტანდა საფლავამდე და ისე ჩაუძახებდა. სად დაგიკარგავს თავიო, უთხრა ერთს თავ-მოკვეთილს გვამს და ისიც სამარეში ჩააგდო. შემდეგ ცალკე თავიც იპოვნა, თმაში ხელი წაავლო და სთქვა: გამიწყრეს ღმერთი, თუ ეს ის ბოროტი ფონ-კალიოფი არ იყოსო, და სიცილით ისიც საფლავში ჩაისროლა.

არაყი კიდევ მოსვა, პირველს საფლავს მიწა მიაყარა და ახლა მეორე საფლავს დაუწყო თხრა. ამ დროს მთვარემაც ამოიწია და თავისი მკრთალი ნათელი მოჰფინა მდუმარე საფლავებს, ზედ ამართულს ჯვრებს, სოფლის სახლების ბანებსა და შორს მყუდრო ხეობასაც.

სთხრიდა საფლავს მილენა და თან დამღეროდა ისევ თავისს სევდიანს, გულის შემაწუხებელს სიმღერას... გაითხარა საფლავი. წაავლო ერთს მკვდარს სარტყელში ხელი და სამარისაკენ წაიღო.

უეცრად კვნესა შემოესმა.

მილენა შეკრთა და გაჩერდა.

კიდევ შემოესმა კვნესა, მივიდა იმ ადგილას, საიდგანაც კვნესა შემოესმა და დაინახა, რომ ერთი დასამარხავთაგანი ცოცხალი იყო. ქალმა მობრუნება დაუწყო, აიღო თოვლი და მოუწმინდა სისხლითა და თოფის წამლის კვამლით გამურული პირი-სახე.

დაჭრილმა თვალები გაახილა.

— ვალერიან! დაიძახა მილენამ.

— მილენა! კვნესით ამოილუღლუღა დაჭრილმა: ჰო, მე ვარ... თუ ღმერთი გწამს, გადამარჩინე სიკვდილს.

მილენამ ხელი ჰკრა დაჭრილს და ცოტა უკან დადგა.

— ღმერთმა ჩამიგდო შენი თავი ხელში, სთქვა მილენამ ისეთის დამშვიდებით, რომ ეს დამშვიდება გულის წყრომაზედაც უსაზარლესი იყო და ბოროტს სიხარულსა და შურისძიების წყურვილის მოკვლაზედაც.

— შენ მიღალატე, მაგრამ ახლა-კი ჩემი ხარ. შეევედრე ღმერთს, იქნება გაპატიოს შეცოდებანი, მაგრამ ჩემგან-კი ნუ მოელი შებრალებას.

— მილენა! ნუ თუ დაგავიწყდა ჩემი სიყვარული!!

— მე-კი არ დამავიწყდა სიყვარული, შენ დაგავიწყდა! სთქვა მილენამ და ამაყად მოიღერა ყელი.

— უნდა მომკლა! ამოილუღლუღა საბრალომ.

— მოგკლა? არა, უპასუხა ქალმა ისეთის დაცინვის კილოთი, რომ ვალერიანს ჟრუანტელმა დაურბინა ტანში: მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა უნდა ავასრულო და დაგმარხო.

— ცოცხალი, ცოცხალი უნდა დამმარხო ამ აღდგომა დღეს? წარმოსთქვა სიმწარით დაჭრილმა.

— რატომაც არ დაგმარხავ? უპასუხა მილენამ: შენ თავი მომჭერი, შემარცხვინე, უწყალოდ და შეუბრალებლად აიღე ჩემზედ ხელი... ეს არ იყო შენი სიყვარული!

მილენამ მხრებში ხელები წაავლო და საფლავში ჩაგდებას უპირებდა, მაგრამ ვალერიანი გაუსხლტა. შეექმნათ ბრძოლა. დაჭრილი თავ-განწირული უძალიანდებოდა... მაგრამ ტყუილად, ველარ დააღწია თავი მილენას ღონიერს მკლავებს. დაქანცული და ცალკე სისხლის დენით დასუსტებული ვალერიანი მიწაზედ დაეშვა გონება-მიხდილი. მილენამ გულზედ მუხლის თავი დააჭირა და პატარა ხანს სული ამოითქვა. შემდეგ ბოროტის ღიმილით დასტაცა ხელი თმებსა და მხრებში და საფლავისკენ წაათრია.

— მილენა!.. გევედრები, გაფიცებ!

მილენამ პასუხის მაგიერ მუჯლუგუნი წაჰკრა. ჰკრა კიდევ ხელი და ვალერიანი საფლავში ჩავარდა. საბრალომ კიდევ წამოიწია, მოეხვია მილენას მუხლებზედ და მუდარა დაუწყო.

იმისმა მუდარამ ქალი უფრო გააგულვა დ გაახელა. ბრაზისაგან თვალები აენთო, აიღო ბარი, ვალერიანს ხელებში დასცხო და დაუყვირა:

— გათავდა, ეხლა შენ ჩემი ხარ!

შემდეგ დაისველა ფურთხით ხელები და საჩქაროდ მიწის მიყრა დაუწყო საფლავსა. ვალერიანის ფართხალი კიდევ ისმოდა საფლავიდგან, ისიც გაიგონა, რომ უკანასკნელად სულ-შეხუთულმა კიდევ ამოსძახა „შემიბრალეო!“, მაგრამ მილენამ მხოლოდ ერთი მხეცურად ხმა მაღლა გადიხარხარა და თავისი ჩვეულებრივი სიმღერა დასძახა.

ხმაურობა სრულიად მისწყდა. ყური დაუგდო მილენამ და სრულიად აღარა შესმენია-რა. დარჩა მიწის ქვეშ საუკუნოდ ვალერიანი. მილენამ კიდევ დალია არაყი და სიმღერით მესამე საფლავის თხრას შეუდგა. აღმოსავლეთისკენ ცისკარიც გამოჩნდა, მაგრამ ცისკარი ფერ-მკრთალი იყო და უსულო გვამსავით გაფითრებული.

ს. გძელიშვილი

---

## ხმა პროვინციისა

(წერილი გორიდგან)

გიჟმა და ყველასაგან ათვალწუნებულმა მარტმა წელს, მრავალს უკეთურებასთან, ბევრი სასიამოვნო ამბავიც გვაჩვენა. ძველის ჩვეულებისამებრ მან წინაპირველად გაგვიღიმ-გაგვიცინა ცუღლუტის არშიყივით, მაგრამ მისის ამ გვარის ქცევით არავინ არ მოტყუებულა, გარდა საბრალო სტვენია შოშიებისა, რომელნიც კაი ხანია მოფრინდნენ აქა და ახლა, მხიარულ გალობის მაგივრად, გულ-მოსაკლავად ჰყივიან და, აბუზულები, ნაღვლიანად შესცქერიან ნაცრის-ფერ ღრუბლებით დაბურულს ცას. სველს, ტალახიანს დედამიწას ჯერ ისევ ზამთრის ფერი ადევს და ცივი, ძლიერი ზენა ქარი განუწყვეტელის ღმუილ-გრიალით დაჰქრის და დაჰქშუის იმის გამხმარ-გაყინულს ზურგზედ. კიდევ კარგი, რომ წინაპირველმა თბილმა, მზიანმა დღეებმა დიდხანს არ გასტანა და ამით სხვა-და-სხვა ხეხილი და მცენარეულობა თავისის საგაზაფხულო, ნორჩისა და ლამაზის ყვავილებით დაფერადებულის ტანისამოსით კარზედ ვერ გამოიტყუა!.. კარგი, თორემ თქვენს მტერს დაემართოს ის, რაც წრევანდელს ჩვენს მოსავალს მოუვიდოდა ამ აწინდელ სიცივისა, ქარისა და ავდრებისაგან, რომელიც აგერ მესამე კვირაა, რაც ხუსტურიანის ჩამოჯიბრებით მოსდევს ერთი ერთმანეთს. „წყეულ იყავ, მარტო, წყეულ!“ გაჯავრებით მისძახის ყოველის მხრიდგან ლხინისა და ქეიფის მოყვარე ხალხი... «არა, არა! ამბობს მხვნელ-მთესველი: წრევანდელი მარტი თავის წარსულ მოძმეებზედ ბევრად უკეთესია!... იმის ავ-კაცობით თითქმის არა გაფუჭებულა-რა; მისმა თბილმა, ჟუჟუნა წვიმებმა და შემდეგ მისმა ლაზათიანმა თოვლმა-კი მრავალი სინოტიე აპკურა დედამიწის გულს, რომელიც ყოველ ცვარს ამ წვიმა-თოვლისას ზაფხულში და შემოდგომაზედ ძვირფას ჰირნახულად გადააქცევს და მით გააფართოებს და შეამკობს ბუნების უხვსა და მდიდარს სუფრას!» «არა, არა!... იძახიან აგრეთვე ჩვენი პატარა ქალაქის მცხოვრებელნიცა: მარტმა წელს ბევრი სიამოვნება გვაჩვენა და ამიტომ ნუ აქცევთ აგრე დიდს ყურადღებას იმის რამდენსამე უკულმართს ნაბიჯს!»

—

ოთხს მარტს ძლივ-ძლიობისას აგვისრულდა ჩვენი დიდის ხნის სურვილი და ნატვრა: ვნახეთ «სამშობლოს» წარმოდგენა, რომელიც გამართა გორში ტფილისიდგან მოსულმა ქართულმა სათეატრო დასმა. სამწუხაროდ, ამ სანაქებო წარმოდგენას ბევრი მსურველთაგანი ვერ დაესწრო, რადგან წინა დღეებში გავრცელდა ხმა, რომ „სამშობლოს“ მარტის ხუთს წარმოადგენენო. მართლაცა-და, ამ უკანასკნელს რიცხვს მრავალი ქართველობა ჩამოვიდა სოფლებიდგან და ელდა ნაცემი დარჩა, როდესაც გაიგო წარმოდგენის უკვე გათავება.

ამ გვარს მათს გულის ტკივილს ერთი-ორად აძლიერებდა აღტაცებული ლაპარაკი იმათი, ვინც დაესწრო მოხსენებულს წარმოდგენაზედ. გრძნობა დამტკბარმა, სიამოვნებით გატაცებულმა საზოგადოებამ აღარ იცოდა, რა ექო უფრო მეტად: თვით დრამის დიდებული შინაარსი, თუ არტისტების ჩინებული, ხელოვნური თამაშობა!..

ამ ჩვენს ჭუჭყიანს დროში, წვრილმან ანგარიშებით გათახსირებულს ცხოვრებაში, როდესაც ადამიანის გრძნობა-გონება წყალში ამოვლებულ ქათამსავით მობუზულა; როდესაც სული ადამიანისა, ქორისაგან შეშინებულ ჩიორასავით, პაწაწკინტელა საბუდარში მიყუჟულა, ამისთანა დროს „სამშობლოს“ და იმის მგზავს პიესების წარმოდგენა სწორედ უკვდავების წყაროდ ევლინება საზოგადოებას, სასწაულ-მომქმედ მალამოდ ედება იმის წევრთა დაწყლულებულს გულს! თავისუფლება სამშობლო ქვეყნისა და თავ-დადება ამ თავისუფლებისათვის!.. აი, ის დიდებული საგანი, რომელიც, ნიჭიერ მოთამაშეთა მეოხებით, ხორც-შესხმული დაიარება სცენაზედ „სამშობლოს“ წარმოდგენის დროს!.. რაღა თქმა უნდა, რომ „სამშობლო“ ამით ახალს არაფერს არ გვეუბნება!.. დედა-აზრი მისი ძველია, როგორც კაცთა საზოგადოება, როგორც ცისა და ქვეყნის მანათობელი, მაგრამ მარად და მარად ახალი, ცხოველ-მყოფელი, როგორც ნათელი მზისა და მისი ბრწყინვალე სხივები!.. ეს საგანი იმავ თაობითვე ბეთლემის ვარსკვლავად დასტრიალებს თავს მთელის კაცობრიობის წარსულს... მისგან მოვლენილს ნათელს არა ერთი მწყემსი წამოუყენებია ფეხზედ, არა ერთი მოგვი აუვსია მადლისა და წმინდა სურვილით!... საუკეთესო წარმომადგენელნი კაცთა ნათესაობისანი გუნდ-გუნდად გამოდიან ისტორიულს მოედანზედ და აღნიშნულ აზრის განსახორციელებლად ილვწიან, იბრძვიან, იხოცებიან და მით უკვდავების დიდებით მოსავენ თავიანთ სათაყვანო სახელს!

ისტორია მოწიწებით აღნიშნავს ამისთანა სახელებს, თავისს ფურცელზედ სწერს მათის პატიოსანს მოღვაწეობის ამბებს და შემდეგ ამათ ჟამთა-ვითარების დაუსრულებელ სივრცეზედ ჰფენს კაცობრიობის წინაშე. ბედნიერია ის ერი, რომელიც ამსაკვირველის ამბებით გონივრულად სარგებლობს: უფროსნი მალ-მალ ითვალისწინებენ მათში მოთხრობილ საქმეებსა, ხოლო უმცროსებს, მოზარდ თაობას, ამ საქმეების გავლენის ქვეშ უწვრთნიან და უღონძინებენ სულსა და გონებას!.. ამ გვარად აღზრდილს თაობას ვერავითარი შავი გარემოებანი ვერ მოუდრეკს ქედს, ვერავითარი ძალ-მომრეობა ვერ გასტეხს იმის სიმტკიცეს!..

ასეთი ძლიერია გავლენა ისტორიისა ადამიანზედ, მაგრამ ამ ძლიერების საზღვრები ერთი ათად და ერთი ასად უფრო ფართოვდება, როდესაც მას—ისტორიას გვერდში ამოუდგება და ძმურად ხელს გადაჰხვევს პოეზია, ეს კეთილი, კეკლუცი ანგელოზი კაცობრიობის სულისა!.. პოეზია ისტორიულს მოთხრობას სულს უდგამს, წარსულს ამბებს აწმყო მოქმედებად გადააქცევს, დიდის ხნის დამიწებულ გვამებს საფლავიდგან აღადგენს და, ხორც-შესხმული, გამოჰყავს საზოგადოების წინაშე. ხალხი უცქერის, ჰხედავს, ყურს უგდებს იმათს ლაპარაკს და, გატაცებული ამ ხელოვნურის სინამდვილით, მაღლდება იმ ხარისხამდე, სადამდისაც ასულა სახელოვანი მოღვაწე თავისის შრომისა ამ მოქმედების დროს. ამ ზედ-მოქმედების განმეორება ადამიანის სულს აცლის ყოველ დღიურ ვარამისაგან დადებულს მტვერსა, უძლიერებს კეთილ-მისწრაფებათა და უნერგავს გულში სასურველის მომავალის იმედს.

—

ამ წარმოდგენის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე და ქართულ სათეატრო დასის წევრნი ხელახლად გვეწვივნენ. ცხრამეტსა და ოცს ამავე მარტისას გამართეს ორი წარმოდგენა: პირველად ითამაშეს „მეორედ გაყმაწვილება“ და „გულმა იგრძნო“, ხოლო მეორედ—„პარიჟელი ბიჭი“ და „ადვაკატთან“. ორივე ამ წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა... განსაკუთრებული თანაგრძნობა საზოგადოებისა ღირსეულად მიიზიდა ჩვენმა მაღალ ნიჭიერმა არტისტმა-ქალმა მ. საფაროვი-აბაშიძისამ, რომელმაც გააოცა, გააკვირვა საზოგადოება თავისის მშვენიერის, ხელოვნურის თამაშობით. მართალია, მასპინძლობა შესაფერი ვერ გავუწიეთ, მაგრამ სრული იმედი გვაქვს, რომ ხსენებული დასი საკვლავოდაც არ დაგვივიწყებს და ამ გაზაფხულზედ, მაგალითად კვირაცხოვლობის შემდეგ, კიდევ დაგვიტკბობს სულსა და გულს თავისის საუცხოო თამაშობით!..

პროვინციელი

---

## დეპეშა

1 აპრილი

**ბერლინი.** „Kreuz Zeitung“-ში დაბეჭდილია მთელი წერილი იმის შესახებ, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაშია რუმინიის მეფეს კარლი. რუმინიის ჟურნალ-გაზეთობის უმეტესობა დინასტიის მოწინააღმდეგეთა დასს ჰმობრობს; თვით მთავრობის დასიც-კი ძალიანაც არა სწყალობს დინასტიას. მეფე ყოველ დღე სასტიკადა ჰკიცხავენ. ასეთს გარემოებაში დიდხანს ვერ გასტანს საქმე. შესაძლებელია, რომ მეფემ ტახტზედ უარი სთქვას.

**ვენა.** სივარიჩს, სებენიკოს ახლოს, დალმაციაში დინამიტის გულათი ააფეთქეს ერთი ნაწილი სასტუმროსი, რომელიც ერთს ჩერნოგორიელს ეკუთვნოდა. კაცთაგან არავინ დაღუპულა.

2 აპრილი

**პეტერბურგი.** საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს არტილერიის გამგეობის დირექტორს მატიეს ებოძა ორდენი წმ. ანნასი პირველ ხარისხისა.

გამოცხადებულია ცირკულიარი სატყეო დეპარტამენტისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რა ღონისძიებანიც უნდა იყოს მიღებული სახელმწიფო ტყეების ცეცხლისაგან უზრუნველსაყოფელად.

განსაკუთრებულმა კომიტეტმა თავისს უკანასკნელს კრებაზედ, სხვათა შორის, კურსკის გუბერნიის წარმომადგენელს კიდევ 25,000 მან. გადასცა, საერო განათლების სამინისტროს გადაეცა განსაკარგულებლად 12,000 მ. პერმის გუბერნიის შადრინისა და კამიშლოვსკის მაზრების პირველ დაწყებით სასწავლებლების მოსწავლეთა გამოსაკვებად და ყურად ღებულ იქმნა განკარგულება უავგუსტოესის თავმჯდომარესი, რომ ამერიკიდგან ხომალდ „მისსურით“ მოტანილი პური 13 გუბერნიას გაეგზავნოს და და საქველ-მოქმედო მოღვაწეობით ცნობილთ კაცთ მოენდოთ, რომ ეს პური მკვიდრთ დაურიგონო.

განსაკუთრებულის კომიტეტის კასსაში ვიღაც უცნობმა 50,000 მან. შეიტანა და, ამას გარდა, 28—31 აპრილამდე კიდევ 61,500 მანეთამდე მიიღო ამ კომიტეტმა.

დანიშნულ იქმნენ: პრეობრაჟენსკის რაზმის პოლკოვნიკი, ბარონი როზენი, შვეიცარიის სამხედრო აგენტად და მე-10 არმიის კორპუსის შტაბის განსაკუთრებულ მინდობილებათა ობერ-აფიცერი თ. ტრუბეცკოი—იტალიის სამხედრო აგენტად.

მინისტრი თანდათან უფრო კარგადა ხდება.

პეტერბურგის ცნობილის ანტიკვარის ლინევიჩის მოკვლა უნდოდა იმის 23 წლის შვილს და რევოლვერი ესროლა. ტყვიამ თვალის კაკალი გააპო და საფეთქელში ჩაერჭო. ლინევიჩს ტყვია ამოუღეს და საშიში არა სჭირს-რა. ბრალდებული-კი დაპატიმრებულია და განაცხადა, რომ ამ საქციელის მიზეზს სასამართლოში გამოვარკვევო.

3 აპრილი

**რომი.** საფინანსო ღონისძიებათა მიზეზით გამოწვეულმა უთანხმოების გამო მარკიზმა დი-რუდინიმ თხოვნა შეიტანა მთელის კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომისა. მეფემ ახალის კაბინეტის შედგენა მიანდო. კრიზისი გაუჭირებლად ჩაივლის.

**ბერლინი.** საქალაქო სამკურნალოს უფროსის ექიმის თანაშემწემ, ექიმმა კანონმა წითელას ბაცილა აღმოაჩინა.

**ქაირი.** დღეს აბდინის სასახლეში დიდის ამბით წაიკითხეს სულთანის ფირმანი. ფირმანის წაკითხვას ინგლისისა და ეგვიპტეს ლაშქარიც დაესწრო.

**ლონდონი.** ლაგორიდგან დეპეშით იუწყებიან დღეს, რომ იქაურს „Civil and military Gazette“-ს აცნობებენო კაფირისტანიდგან, რომ ავღანისტანის ემირის გენერალმა ჰალამ-ხაიდერმა დაამარცხა და გააქცია ბოურის ოლქის უშესანიშნავესი მეთაური უმრა-ხანი, რომელიც მოხმანდისკენ წავიდა და პეშავერში სცდილობს თავის შეფარებას. ამ გამარჯვების გამო დირის ულელტეხილი, რომელიც ინდოეთსა და პაგირს აერთებს, ავღანისტანის ემირს დარჩა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,85 | 7,90 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 156 1/2 | 157 1/2 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | 1,12 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 237 1/2 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | 197 1/2 | 198 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — „ | — „ | 102 |
| 5% . . . . . . | 99 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — „ | — „ | 102 |
| 5% . . . . . | 99 1/2 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99 1/2 |


**შველგან!!!**

საპონი ოლეო-ვაზელინი

**როიალ-კონგო!**

ახალი ამბავი!!!

**სურნელოვანი წყლები**

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინასი“

**ე. გოდლო და ამხ.**

მოსკოვში.

(10—9)

**ღვინის საწყობი თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა**

(გოლოვინის პროსპექტზე, სახლი თავ. მუხრანსკისა)

საყოველთაოდ ვაუწყებთ, რომ ამ ფირმის ღვინო ტფილისში არსად არ ისყიდება გარდა ზემოხსენებულის საწყობისა. თუმცა გამოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც „მუხრანსკის“ ფირმით ჰყიდიან ღვინოს, მაგრამ იმათ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან არავითარი ერთობა არა აქვთ.

ამ დღესასწაულებისათვის ისყიდება კახეთის საუკეთესო

**ღვინოები**

**თ. ილია ჭავჭავაძისა**

და სხვა მემამულეთა.

ვედრო ღირს ცხრა აბაზიდამ თორმეტ მანეთამდე, ბოთლი სამი შაურიდამ მანეთ-ნახევრამდე.

სარდაფი იმყოფება შუაბაზრის თავში, წინამძღვაროვის სახლში № 1.

სოლომონ ყურდღელოვი.

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენციისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—4)

**ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია**

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობაღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს ამლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს.

(50—48—1)

**სატუალეტო საშუალება დედათათვის**



**БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ**

**Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.**

იხმარება კანისა, სახისა და ხელების დასაბანად.

**წესი ხმარებისა:** ამ ბალზამის შემზადების დროს უმთავრესი ყურადღება იმასა აქვს მიქცეული, რომ ისეთი მასალა არა ერიოს-რა შიგ, რაც კანს ახდენს და აფუჭებს. ფასი: შუშა ჰღირს 1 მ. 65 კ. **ბენზოს საპონი** 35 კ. და 50 კ. ნაჭერი და **ოპო პომადა** (კოლდ-კრემს სჯობია) 1 მ. შეხვევა და გაგზავნა ევროპის რუსეთში 70 კ., აზიის რუსეთში—1 მ. უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება **პ. აურიხთან**, ს.-პეტერბურგს, კოლოკოლ., 18—19. შეიძლება ყიდვა ყოველს საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში და რუსეთის ზოგიერთს აფთიაქში.

(7—6)


Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.